ოქმი N12

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 5 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 20 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო შეუერთდა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 -დღიან კამპანიას. კამპანიის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში საკრებულოს ეგიდით არაერთი თემატური ღონისძიება გაიმართა. ქალაქში განთავსდა საინფორმაციო ბანერი, კამპანიის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მოსახლეობას დაურიგეს. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია 1991 წლიდან იღებს სათავეს, ის 25 ნოემბერს - ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს იწყება და 10 დეკემბერს - ადამიანის დაცვის საერთაშორისო დღეს სრულდება. კამპანიის მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობა.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ქ. კვირიკაშვილი)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტით, 2022 წლის შემოსულობები გაიზარდა 158.0 ათასი ლარით მუხლიდან „გადასახადები“ და განისაზღვრა - 21479,0 ათასი ლარით. გადასახდელები გაიზარდა 158,0 ათასი ლარით და განისაზღვრა -25381,4ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასევე ხორციელდება შემდეგი ცვლილებები: 158,0 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ: 158,0 ათასი ლარი შემოსავალი მუხლიდან „გადასახადები“ (მათ შორის: 158.0 ათასი ლარი - დამატებითი ღირებულების გადასახადი), შემოსულობების ზრდით მიღებული ასიგნებები 158,0 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 158,0 ათასი ლარი - ,,საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კულტურული, სპორტული, საგანმათლებო და საგამოფენო ღონისძიების

ხარჯი“ ასიგნებაზე (საახალწლო და მიმდინარე წლის დასრულებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საახალწლო ღონისძიების: კონცერტების; საშობაო ბაზრობების, გამოფენა-გაყიდვების, საბავშვო გასართობი სივრცეების, ფოტოგადასაღები ზონებისა და საახალწლო ინსტალაციების მოწყობის, თოვლის ბაბუასთან ბავშვების შეხვედრის ცერემონიის ჩატარებისა და ფოიერვერკის“ ღონისძიების ასიგნება). გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ქ. კვირიკაშვილი, მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N22 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარ შუშანია
4. ლევანი ლიპარტია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. აკაკი მალანია
9. ვეფხვია ფოცხორაია
10. ქეთევან კვირიკაშვილი
11. მოგელი ხუხია
12. ბადრი რიჟამაძე
13. ბექა ხარბედია
14. ფრიდონი კუკავა
15. მაკა ჩარტია
16. ფელიქსი წურწუმია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. მალხაზი იოსავა
22. ფრიდონი შონია